ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №989054

ნომერი: AR1172440

თარიღი : 24.10.2013

გაცემის თარიღი : 11.11.2013

გაცნობის თარიღი : 11.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ორგანიზაცია:
- იქს ვაი ზეტ არქიტექტსი კოდი: 204566656

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა შალვა ლეკიაშვილმა და შპს „იფქლი პირველი“-ს მინდობილმა პირმა გიორგი წანაწყენიშვილმა 2013 წლის 24 ოქტომბერს #AR1172440 განცხადებით მომართეს სამსახურს და მოითხოვეს სამსახურის 18.10.2011 წ. #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 18.10.2011 წ. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ. #22/გოძიაშვილის ქ. #24–ში (საკადასტრო კოდი: #01.10.10.020.114; ფართობი: 3578.00 კვ.მ.) პურის საცხობი-მაღაზიას აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013300041; მომზადების თარიღი: 02.07.2013) თანახმად ირკვევა, რომ საკადასტრო ერთეულის გამიჯვნის შედეგად შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო კოდი და დღეის მდგომარეობით არის #01.10.10.020.125, ხოლო ფართობი: 3562 კვ.მ..

განმცხადებელი ასევე ითხოვს სამსახურის 18.10.2011 წ. #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ: სასაწყობე ობიექტის დამატებას.

სამსახურის 18.10.2011 წ. #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლებელია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 18.10.2011 წ. #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილებასთან, ასევე ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.10.2011 წ. #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ:

- ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882013300041, მომზადების თარიღი: 02.07.2013წ; საკადასტრო კოდი №01.10.10.020.125, ფართობით: 3562 კვ.მ.);
- საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: პურის საცხობი-მაღაზია და სასაწყობე ობიექტი;
- ფუნქციაში დაემატოს დამხმარე ფუნქცია.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.10.2011 წ. #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.